

ახალი სარსაბსული

360 (19) 4 სექტემბერი, 2017 წ

„ქართული ოცნება“ სარაგაულის მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატად ნიკოლოზ თოფურიაქი დაასახლდა

„ქართული ოცნება - დემოკრატიულმა საქართველომ“ საარჩევნო კამპანია ოფიციალურად დაიწყო. პარტიის თავმჯდომარემ, გიორგი კვიციანიშვილმა, 2 სექტემბერს იმერეთის რეგიონში მერობის კანდიდატები წარადგინა და აღნიშნა, რომ თითოეული მათგანი კვალიფიციურობისა და პროფესიონალიზმის ნიშნით შეირჩა. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში „ქართული ოცნებიდან“ ხარაგაულის მერობის კანდიდატი ნიკოლოზ თოფურიაქი იქნება. ქვეყნის პირველი პირის განცხადებით, იმერეთის რეგიონის მერობის კანდიდატები ხალხისა და ადგილობრივი თვითმმართველო-



ბის გაძლიერებისთვის მაქსიმუმს გააკეთებენ.

შეკრებილ მხარდამჭერებს პარტიის გენერალურმა მდივანმა, „ქართული ოცნების“ თბილისის მერობის კანდიდატმა კახა კალაძემ მიმართა. კალაძის განცხადებით, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თანამედროვე საქართველოში მოხდეს თვითმმართველობის სწორად ორგანიზება და განვითარება, რადგან ქვეყნის ძლიერება სწორედ ძლიერ თვითმმართველობაზე დამოკიდებულია.

კანდიდატების წარგდენა ქუთაისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე, ასსაფეხურიან კიბეებთან მოხდა.

სარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ნიკოლოზ თოფურიაქმა, ვახანში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ნიკოლოზ თოფურიაქმა, ადგილობრივი ხელი-სუფლების წარმომადგენლებთან ერთად, ვახანში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები მოინახულა. სოფლის ცენტრალური გზის 3500-მეტრიანი მონაკვეთის მობეტონება აქტიურ ფაზაშია. ე.წ. „ლომსაძეების წყაროდან“ სოფლის საჯარო სკოლამდე 1900-მეტრზე 3 მ. სიგანისა და 16 სმ. სისქის ბეტონის საფარი მოეწყობა, ხოლო სკოლიდან 1 600 მეტრზე ე.წ. „ბონდის ხიდამდე“

- 4 მ. სიგანისა და 16 სმ. სისქის. პროექტის ფარგლებში გაკეთდება ცხაურები და სანიღვრე არხები. ნიკოლოზ თოფურიაქი ვიზიტის ფარგლებში ასევე შეხვდა სოფლის მოსახლეობას და მათთან საუბარში ხაზგასმით აღნიშნა, რომ გამგებობაში შექმნილი კონტროლის ჯგუფი პერმანენტულად უწევს ზედამხედველობას ინფრასტრუქტურულ პროექტებს. გამგებელმა მოსახლეობას პირობა მისცა, რომ მობეტონება მოხდება ხარისხიანად

და გამოვლენილი ხარვეზების შემთხვევაში, თუ ის არ იქნება აღმოფხვრილი, შესრულებული სამუშაოების ჩაბარება არ მოხდება. ვახანის მცხოვრებლები კმაყოფილებას გამოხატავენ სოფელში გზის მშენებლობის გამო და ერთხმად აღნიშნავენ, რომ ინფრასტრუქტურის მოწოდება ბევრ პრობლემას მოუხსნის ადგილობრივებს. სარეაბილიტაციო სამუშაოებს შპს „მიმდემი“ ასრულებს. პროექტი რეგიონული განვითარების ფონდიდან 460 800 ლარით ფინანსდება, მათ შორის,



ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსება 5%-ა. ვახანში საგზაო ინფრასტრუქ-

ტურის მშენებლობის სამუშაოები ოქტომბრის შუა რიცხვებში დასრულდება.

საკრებულოს თავმჯდომარემ, მანანა ბარბაქაძემ, მაქათუბანში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები მოინახულა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე მაქათუბანში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებს ადგილზე გაეცნო. აღნიშნული გზის 2 კმ-იან მონაკვეთზე ბეტონის საფარი იგება. პროექტი რეგიონული განვითარების ფონდიდან 340 065 ლარით დაფინანს-

და და სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „დავითი“ ასრულებს. აღსანიშნავია, რომ გზების მობეტონება პარალელურ რეჟიმში მუნიციპალიტეტის სხვა სოფლებშიც აქტიურად მიმდინარეობს. რაც შეეხება მაქათუბნის გზას, სამუშაოები რამდენიმე დღეში დასრულდება.

ვახანში ვეჯაჯევიანის სასოფლო-სამეურნეო უბანში პიკნიკი



29 აგვისტოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ვახანში მერაბ არევაძის სახელობის ტურნირი მოეწყო. ტრადიციისამებრ, სპორტული ღონისძიებები დოლსა და ქართულ ჭიდაობაში გაიმართა, რომელშიც მოყვარული და პროფესიონალი სპორტსმენები ჩაერთვნენ. სოფლის დღესასწაულზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ თოფურიაქი შეილიშვილთან, ლადო გაბაშვილთან, ერთად იმყოფებოდა. მერაბ არევაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირს ასევე საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე,

გამრძელება ▶ 2 გვ.

საჯარო სკოლაში ახალი სასწავლო წელი 15 სექტემბერს დაიწყო



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს

გადანყვეტილებით, საჯარო სკოლებში სწავლა 15 სექტემბერს დაიწყო. რა სიახლეებით ხვდებიან ხარაგაულის საჯარო სკოლები ახალ სასწავლო წელს და რა მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა, ამის შესახებ ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, დავით კიკნაძე, გვესაუბრება:

„ხარაგაულის ოცდახუთ საჯარო სკოლაში სწავლა სექტემბერში ჩვეულ რიტმში განახლდება. ამისთვის ყველა სკოლა, როგორც ინფრასტრუქტურული, ასევე სოციალურ-ეკონომიკუ-

რი თვალსაზრისით, მზადაა. რაც შეეხება წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზიას, როგორც ჩემთვის ცნობილია, შესაძლებელია, აქ სარემონტო სამუშაოები ჩატარდეს და სასწავლო პროცესი დროებით გადაიდოს. გასულ წელს მეუფესა და მამა ანტონის (სულთანისშვილი) ხელშეწყობით გიმნაზიაში, დაახლოებით, 150 ათასი ლარის სამუშაოები განხორციელდა და შენობის ნახევარზე მეტი გარემონტებულია. სამწუხაროა, რომ ამ სკოლას განათლების სამინისტრო ვერ ეხმარება, რადგან მისი იურიდიული სტატუსი კერძო სკოლაა. ზოგადად, ახალ სასწავლო წელს მნიშვნელოვანი სიახლეებით ვხვდებით. აღსანიშნავია, რომ მოსწავლეებს სახელმძღვანელოები უფასოდ გადაეცემა. პროექტი მეოთხე წელია, ხორციელდება და ეს ერთგვარი შეღავათია იმ ოჯახებისათვის, რომლებსაც სახელმძღვანელოების ყიდვის შესაძლებლობა არ გააჩნიათ. რაც შეეხება პირველკლასელებს, ისინი საჩუქრად „ნოუტბუქებს“ მიიღებენ. სასიხარულოა ის ფაქტიც, რომ შარშანდელთან შედარებით წელს

12-ით მეტი პირველკლასელი გვეყავს. მათი რაოდენობა 192 - ს შეადგენს. ვფიქრობ, ამის ერთ-ერთი ფაქტორი სოფლებში ახალი საბავშვო ბაღების აშენებაა. - რამდენად მონსერტივებულია სკოლებში ინფრასტრუქტურა და ჩაუტარდა თუ არა რომელიმე რეაბილიტაცია? - ხარაგაულის საჯარო სკოლებში მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა. მნიშვნელოვანია, რომ ლარიხვის სკოლას, რომელიც 110

გვირდი მოამზადა ეკა შავიძემ

გამრძელება ▶ 2 გვ.

